პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 296 (13680)

ხუთშაბათი, 29 დეკემბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დასკვნითი სხდომა

28 დეკემბერს, დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მესამე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

დეპუტატები და სტუმრები განაგრძობენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენების განხილვას.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები შ. ო. ბრძოლიშვილი (ადიგენის საარჩევნო ოლქი, ადიგენის რაიონი), ლ. დ. სახოკია (ნარაზენის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), მ. პ. ხაჩატროვი (ისნის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), შ. ი. ამირანაშვილი (მაიაკოვსკის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ქუთაისი), ვ. ა. პაპატაშვილი (ლენინის საარჩევნო ოლქი, ახალციხის რაიონი), მ. ფ. ჟულიკვი (ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქი, ბოლნისის რაიონი), ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მ. სამხარაძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ი. ვადაჭკორია, დეპუტატი შ. პ. ღაჩონია (მერეთის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), საქართველოს სსრ სამენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ი. ს. ჩიკავა.

დეპუტატები პრინციპულად და დიდი მომთხოვნელობით აფასებდნენ

(დასასრული მე-2 გვერდზე).

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	(ზრდა პროცენტობით 1966 წელთან შედარებით)
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის საერთო პროდუქცია	— 5,7 პროცენტი
აქედან რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისა	— 8,9 პროცენტი
სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი	
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობათა განსავითარებლად	—9,2 პროცენტი
შრომის ნაყოფიერება:	
რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში	— 3,5 პროცენტი
მშენებლობაში	— 6,0 პროცენტი

მუხლი 3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1967 წელს 1966 წელთან შედარებით გადიდდეს:

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	— 8,1 პროცენტით
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე	— 17,0 პროცენტით
რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სამაგვრ. სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების რიცხვი	— 16,9 პროცენტით
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში	— 21,5 პროცენტით
სტუდენტთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში	— 3,3 პროცენტით
მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში	— 11,9 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა	— 16,9 პროცენტით

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ის წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 1.049.101 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში — 1.046.335 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის გადამეტებით 2.766 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.

აი ასეთია მთვარის პანორამა

კომენტარები მთვარის პანორამის გამო, რომელიც 1966 წლის 26 დეკემბერს გადმოსცა „ლუნა-13"-მა

ფოტოსურათზე გამოსახულია ნაწილი მთვარის პანორამისა, რომელიც საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-13"-მა გადმოსცა 1966 წლის 26 დეკემბერს. გადმოცემა დაიწყო 16 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით და 100 წუთს გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში სატელევიზიო კამერა მთლიანად შემობრუნდა თავისი ღერძის გარშემო. ეს ღერძი სადგურის კონსტრუქციის შესაბამისად დახრილია მთვარის ვერტიკალისადმი. როცა სადგური მყარ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე დგას, დახრილობის კუთხე 16 გრადუსს ადგენს, ფაქტიურად იგი უსწორდება ამ სიდიდეს. ღერძის დახრილობა საშუალებას გვაძლევს, რომ შეიძლება ასე ითქვას, მივუახლოოთ გრუნტს სადგურის სატელევიზიო „თვალი" და ამიტომ პანორამის უახლოესი ნაწილები (ქვემოთ ცენტრალურ ნაწილში) გადაღებულია მეტრზე ნაკლები მანძილიდან, და ამ ნაწილებზე მოჩანს გრუნტის სტრუქტურის მილიმეტრიანი დეტალები. ეს უფრო მორდება კამერას (სურათზე ზემოთ), ანუ უფრო სწრაფად კლებულობს გამოსახულების ხარისხი, და ქვები, რომლებიც პატარად ჩანს სურათის ზემო ნაწილში, ნამდვილად გაცილებით დიდია, ვიდრე წინა პლანის მსხვილი დეტალები. პანორამის სიმაღლე დაახლოებით 30 გრადუსია. სურათზე გამოსახული მონაკვეთის განფენილობა 220-მდე გრადუსია აზიმუტით. სატელევიზიო კამერის ღერძის დახრილობის გამო ჰორიზონტის ხაზი გამრუდებულია. ფოტოსურათის შუა ნაწილში, ესე იგი კამერის ღერძის დახრილობის მართულებით, მთვარის ზედაპირის გამოსახულება ფარავს თვალთახედვის მთელ არეს და ჰორიზონტი არ ჩანს. ორივე მხარეს დაშორების მიხედვით სურათის სულ უფრო მეტ ნაწილს იკავებს მთვარის შავი ცის გამოსახულება.

პანორამის წინა პლანზე მოჩანს თვით სადგურის რამდენიმე დეტალი. მათ შორის ყველაზე ადვილად მაცნობებელი მექანიკური გრუნტმზომი და მექანიზმი, რომელსაც გადაკვეთს იგი რამდენიმე მანძილზე სადგურიდან. ამ გამტანი მექანიზმის ერთი ნაწილი შეღებილია თეთრად, მეორე ნაწილი — შავად. სურათზე, რომელიც მიღებულია 25 დეკემბერს, როცა მზის სიმაღლე დაახლოებით ექვს გრადუსს შეადგენდა, თეთრი ნაწილი სადგურის ჩრდილში იყო, მაგრამ გამტანი მექანიზმის ჩარჩოს ნახვრეტში მოჩანდა მზის სხივებით განათებული გრუნტი. პანორამის ამ ნაწილში მოჩანს ორი სწორი ანტენა (ანტენა სულ ოთხია) და ერთერთი ფურცლოვანი ანტენის მრგვალი ბოლო. სადგურის დაშორებით ჩანს ორი კოჭა, რომლებსაც სადგური გამოსტყორცნის გაშლის დროს. თუ როგორია სადგურის კონტურები, ჩანს მისი ჩრდილის მიხედვით. მკაფიოდ მოჩანს ოთხი სწორი ანტენისა და მათ ბოლოებზე მიმაგრებული ლენტების ჩრდილები, აგრეთვე გრუნტმზომისა და მისი გამტანი მექანიზმის ჩრდილი.

პანორამის გადმოცემის დროს 26 დეკემბერს მზის სიმაღლე მთვარის ჰორიზონტზე დაახლოებით 19 გრადუსი იყო და ჩრდილების სიგრძე დაახლოებით სამჯერ აღემატებოდა იმ საგნების სიმაღლეს, რომლებიც ამ ჩრდილებს აფენენ.

პანორამულ სურათზე მკაფიოდ მოჩანს მთვარის ზედაპირის მიკრო-სტრუქტურა. მარჯვენა ნაწილში ყურადღებას იპყრობს უსწორ-მასწორო ფორმის ერთი დეციმეტრისა და მეტი ზომის კრატერები. თვალთახედვის არეშია ბევრი ქვა. განსაკუთრებით საინტერესოა ქვების ჯგუფი პანორამის მარცხენა ნაპირის მახლობლად. მოჩანს აგრეთვე ბევრი ბზარი და გრუნტის მოგრძო უსწორობანი.

სადგური „ლუნა-13", ისევე როგორც „ლუნა-9", რბილად დაჯდა ქარიშხალთა ოკეანის ტერიტორიაზე, მაგრამ ადგილის რელიეფი, როგორც ტელესკოპით დაკვირვებათა საფუძველზე შედგენილი რუკებიდან ჩანს, შეიძლება სხვადასხვა იყოს. სადგური „ლუნა-9" იმ ადგილას არის, სადაც „ზღვის" ლანდშაფტს ცვლის „მატერიკის" ლანდშაფტი. სადგური „ლუნა-13" კი დაეშვა ტიპური საზღვო თვისებების მქონე რაიონში. ამ რაიონების მიკრორელიეფების შედარებას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ექნება.

პროფესორი ა. ი. ლებედინსკი.

(საკდესი).

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 985.585 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 985.585 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1968 წლის 1 იანვრისათვის 29.568 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გადასახადული ძირითად საწარმოო ფონდებზე და საბრუნავ სახსრებზე, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან — სულ 876.714 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 378.716 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 565.585 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი 114.250 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შესანახავად 22.169 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1967 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 934.963 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 603.003 ათასი მანეთის ოდენობით, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან და დოტაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 331.960 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1968 წლის 1 იანვრისათვის 18.091 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1967 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და მოსავლიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკურ ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1968 წლის 1 იანვრისთვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	40.505.3	34.446.9	—	40.505.3	1.215
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	28.429.2	24.409.2	—	28.429.2	853
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	12.684.7	9.578.8	2.113,2	12.684.7	381
4. ქალაქი თბილისი	99.512.7	81.603.1	—	99.512.7	2.985
5. ქალაქი ქუთაისი	13.379.4	9.351.7	—	13.379.4	401
6. ქალაქი ფოთი	4.374.0	3.581.3	—	4.374.0	131
7. ქალაქი ჭიათურა	4.539.2	4.169.8	—	4.539.2	136
8. ქალაქი რუსთავი	9.175.6	8.438.3	—	9.175.6	275
9. ქალაქი გორი	3.738.3	2.913.6	—	3.738.3	112
10. ქალაქი ტყიბული	3.211,7	2.871.3	—	3.211.7	96
11. აბაშის რაიონი	2.035.2	1.299.3	539.3	2.035.2	61
12. ადიგენის რაიონი	1.544.9	427.9	1.022.5	1.544.9	46
13. ამბროლაურის რაიონი	2.360.7	936.8	1.258.6	2.360.7	71
14. ასპინძის რაიონი	1.257.7	210.5	989.8	1.257.7	38
15. ახალქალაქის რაიონი	4.212,1	2.614.7	1.234.4	4.212.1	126
16. ახალციხის რაიონი	3.948.6	3,466,1	130.0	3.948.6	119
17. ახმეტის რაიონი	2.713.8	1.169.9	1.351.5	2.713.8	81
18. ბოგდანოვკის რაიონი	2.422.8	522,0	1.739.3	2.422.8	73
19. ბოლნისის რაიონი	3.003.5	1,340.7	1.408.0	3,003.5	90
20. ბორჯომის რაიონი	3.031.1	2.668.3	—	3.031.1	91
21. გარდაბნის რაიონი	6.522.2	5.993.4	—	6.522.2	196
22. გეგეჭკორის რაიონი	4.195.6	1.158.6	2.768.2	4.195.6	126
23. გორის რაიონი	4.124.3	3.508.0	313.6	4.124.3	124
24. გურჯაანის რაიონი	4.503.4	4.076.7	—	4.503.4	135
25. დმანისის რაიონი	2.316.6	521.9	1.645.1	2.316.6	69
26. დუშეთის რაიონი	3.054.6	734.7	2.031.9	3.054.6	92
27. ვანის რაიონი	2.659.4	1.349.2	1.134.5	2.659.4	80
28. ზესტაფონის რაიონი	4.463.4	4.075.8	—	4.463.4	134
29. ზუგდიდის რაიონი	7.917.2	6.926.2	—	7.917.2	238
30. თეთრი წყაროს რაიონი	2.859.9	866.5	1.723.8	2.859.9	86
31. თელავის რაიონი	4.960.0	4.110.4	398.9	4.960.0	149
32. თერჯოლის რაიონი	2.445.4	1.551.3	755.6	2.445.4	73
33. თიანეთის რაიონი	1.976.0	394.7	1.453.9	1.976.0	59
34. კასპის რაიონი	2.941.9	2.608.6	—	2.941.9	88
35. ლაგოდეხის რაიონი	3.282.4	2.981.0	—	3.282.4	98
36. ლანჩხუთის რაიონი	2.853.5	1.711.4	870.4	2.853.5	86
37. ლენტეხის რაიონი	1.768.7	223.6	1.466.5	1.768.7	53
38. მაიაკოვსკის რაიონი	2.519.9	636.0	1.738.0	2.519.9	76
39. მარნეულის რაიონი	4.818.1	4.328.6	—	4.818.1	144
40. მახარაძის რაიონი	5.066.3	4.552.9	—	5.066.3	152
41. მესტიის რაიონი	1.863,2	219.0	1.593.4	1.863.2	56
42. მცხეთის რაიონი	2.664.1	1.993.4	445.1	2.664.1	80
43. ონის რაიონი	2.147.4	2.015.3	—	2.147.4	64
44. ორჯონიკიძის რაიონი	2.779.0	996.0	1.636.5	2.779.0	83
45. საგარეჯოს რაიონი	2.588.0	1.446.0	977.6	2.588.0	73
46. სამტრედიის რაიონი	3.892.4	3.318.6	—	3.892.4	117
47. საჩხერის რაიონი	3.087,2	1.009.3	1.871.3	3.087.2	93
48. სილნაღის რაიონი	3.269.4	2.449.8	435.7	3.269.4	98
49. ქარელის რაიონი	2.785.1	2.560.1	—	2.785.1	84
50. ყაზბეგი რაიონი	1.172.0	187.8	976.6	1.172.0	35
51. ყვარლის რაიონი	2.749.6	918,9	1.615.2	2.749.6	82
52. ჩოხატაურის რაიონი	2.559.3	903.6	1.470.2	2.559.3	77
53. ჩხოროწყუს რაიონი	2.401.3	765,7	1.500.5	2.401.3	72
54. ცაგერის რაიონი	2.039.8	557.7	1.331.3	2.039.8	61
55. ცხაკაიას რაიონი	3.731.7	3.250.3	—	3.731.7	112
56. წალენჯიხის რაიონი	2.757.2	1.510.2	1.085.8	2.757.2	83
57. წალკის რაიონი	3,273.7	773.8	2.282.6	3.273.7	98
58. წითელწყაროს რაიონი	2.628.3	1.543.1	811.1	2.628.3	79
59. წულუკიძის რაიონი	2.831.8	1.094.5	1.441.0	2.831.8	85
60. წყალტუბოს რაიონი	4.129.0	2.615.8	797.5	4.129.0	124
61. ხაშურის რაიონი	3.543.5	2.859.3	254.2	3.543.5	106
62. ხობის რაიონი	2.359.7	1.413.1	666.5	2.359.7	71
სულ	382.582.0	282.681.0	49.279.0	382.582.0	11.477,0

მუხლი 8. დამტკიცდეს 1967 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადებიდან — 40 პროცენტი;

დ) მოსახლეობის შენობების, ხაოჯახო ქონების, ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახადებიდან — 100 პროცენტი;

ე) უბედური შემთხვევისაგან სოცობლის დაზღვევის გადასახადებიდან — 100 პროცენტი;

ვ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრ კავშირ. უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	24	100	96	85	60,8
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	26	100	100	77	45,2
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100,0
4. ქალაქი თბილისი	21	—	—	81	22,0
5. ქალაქი ქუთაისი	20	—	—	63	14,3
6. ქალაქი ფოთი	40	100	100	99	53,5
7. ქალაქი ჭიათურა	80	100	100	100	74,3
8. ქალაქი რუსთავი	100	—	—	100	77,3
9. ქალაქი გორი	61	—	—	96	43,0
10. ქალაქი ტყიბული	100	100	100	100	78,6
11. აბაშის რაიონი	100	100	100	100	100,0
12. ადიგენის რაიონი	100	100	100	100	100,0
13. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
14. ასპინძის რაიონი	100	100	100	100	100,0
15. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100,0
16. ახალციხის რაიონი	100	100	100	100	100,0
17. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100,0
18. ბოგდანოვკის რაიონი	100	100	100	100	100,0
19. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100,0
20. ბორჯომის რაიონი	100	100	100	100	34,5
21. გარდაბნის რაიონი	50	—	100	100	52,9
22. გეგეჭკორის რაიონი	100	100	100	100	100,0
23. გორის რაიონი	100	100	100	100	100,0
24. გურჯაანის რაიონი	50	100	100	100	66,5
25. დმანისის რაიონი	100	100	100	100	100,0
26. დუშეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
27. ვანის რაიონი	100	—	100	100	100,0
28. ზესტაფონის რაიონი	50	100	100	100	47,0
29. ზუგდიდის რაიონი	50	100	100	100	86,8
30. თეთრი წყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
31. თელავის რაიონი	100	100	100	100	100,0
32. თერჯოლის რაიონი	100	100	100	100	100,0
33. თიანეთის რაიონი	100	—	100	100	100,0
34. კასპის რაიონი	100	100	100	100	34,2
35. ლაგოდეხის რაიონი	100	100	100	100	47,8
36. ლანჩხუთის რაიონი	100	100	100	100	100,0
37. ლენტეხის რაიონი	100	—	100	100	100,0
38. მაიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	100,0
39. მარნეულის რაიონი	100	100	100	100	96,7
40. მახარაძის რაიონი	50	90	50	100	75,8
41. მესტიის რაიონი	100	100	100	100	100,0
42. მცხეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
43. ონის რაიონი	100	100	100	100	91,7
44. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
45. საგარეჯოს რაიონი	100	100	100	100	100,0
46. სამტრედიის რაიონი	50	100	100	100	21,3
47. საჩხერის რაიონი	100	100	100	100	100,0
48. სილნაღის რაიონი	100	100	100	100	100,0
49. ქარელის რაიონი	50	100	100	100	70,3
50. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	100	100,0
51. ყვარლის რაიონი	100	100	100	100	100,0
52. ჩოხატაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
53. ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	100,0
54. ცაგერის რაიონი	100	100	100	100	100,0
55. ცხაკაიას რაიონი	50	100	100	100	50,0
56. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100,0
57. წალკის რაიონი	100	100	100	100	100,0
58. წითელწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
59. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
60. წყალტუბოს რაიონი	100	100	100	100	100,0
61. ხაშურის რაიონი	100	—	100	100	100,0
62. ხობის რაიონი	100	100	100	100	100,0

მუხლი 9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1966 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

იულონ ნიკოლოზის-ძე ლომოური

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სურათზე: მთვარის პანორამის ნაწილი, რომელიც საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-13"-მა გადმოსცა 1966 წლის 26 დეკემბერს.

საკდესის ფოტო (მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დასკვნითი სხდომა

(დასასრული)

საშეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს, ლაპარაკობდნენ რეზერვებზე. აკრიტიკებდნენ მთელ რიგ დამგეგმავ და საშეურნეო ორგანიზაციებს, შეჩერებდათ წინადადებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების დაჩქარებული განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სიუხვის შექმნა.

კამათში მონაწილე დეპუტატებმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა, მეცნიერებმა, პარტიულმა, საბჭოთა სამეურნეო მუშაკებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები რესპუბლიკის მშრომელებს შესანიშნავ პერსპექტივას უსახავენ, საგსებით შეესაბამებიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებს. სახალხო-სამეურნეო გეგმა რესპუბლიკის საქმიანი ცხოვრების პროგრამაა. მთელი ქართველი ხალხის ღირსების საქმეა თავდადებული შრომით უზრუნველყოს საიუბილეო წლის დავალებათა წარმატებით შესრულება.

შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

განახლებულ კამათში გამოვიდა დეპუტატი ი. ვ. თაძთაძიშვილი (რუისის საარჩევნო ოლქი, ქარელის რაიონი).

ამით უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამთავრა დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის განხილვა.

შემდეგ საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ე. ბ. ჯაფარიძემ.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. ს. ტრაპაიძის საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დეპუტატებმა ასევე ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

შემდეგ უმაღლესი საბჭოს სესია შეუდგა დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას. მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კვაჭაძემ.

დეპუტატებმა მიიღეს კანონები და დადგენილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მერვე სესიის შემდეგ.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ამოიწურა. საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია დახურულად ცხადდება. (საქდესი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საგეგმო საგიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის თანამოხსენეგა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განსახილველად წარმოგიდგინათ საქართველოს სსრ 1967 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, ამ სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში ასახულია ყველა მიღწევა, რომლებიც კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა ამ ხნის მანძილზე. 1967 წლის სახალხო მეურნეობის გეგმა და 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებიც უნდა დამტკიცოს სესიამ, ჩვენი მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების საფუძველია. საბიუჯეტო კომისიამ სხვა დარგობრივ კომისიებთან ერთად განიხილა ეს მნიშვნელოვანი გეგმები და დამავალა სესიას გავაცნო კომისიის შენიშვნები საქართველოს მთავრობის მიერ განსახილველად წარმოდგენილი გეგმის და ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა თქვენს ყურადღებას შევიჩერებ საქართველოს სსრ 1967 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის პროექტზე. ამ პროექტის შესახებ სესიას დაწვრილებით მოახსენებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ჯაფარიძემ. ამიტომ საბიუჯეტო კომისია ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელზე.

1967 წლის გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის პროდუქციის წარმოების შემდგომ გადიდებას. 1967 წელს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის საერთო პროდუქცია 1966 წელთან შედარებით იზრდება 5,7 პროცენტით. მომავალ წელს იზრდება მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის ისეთი სახეობის გამოშვება, როგორიც არის ბამბისა და მატყლის ქსოვილები, ტრიკოტაჟი, კონსერვები, ბეღურული და სხვ.

მიმდინარე წლის შედარებით 1967 წელს გაიზრდებ ავტომობილებისა და ელექტროენერგიის გამოშვება, ფოროლექტამის, პლასტმასის ნაკეთობათა, რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის კულტსაყოფაცხოვრებო და საოჯახო საქონლის წარმოება და ა. შ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე გეგმა ითვალისწინებს ავრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის მნიშვნელოვან ზრდას.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1967 წლისათვის დადგენილია 371 მილიონი მანეთის ოდენობით, ე. ი. 9,2 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. ეს შესაძლებელს ხდის მრეწველობის, სანშენო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელებას.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გეგმით გათვალისწინებულია 1.720 მილიონი მანეთის ოდენობით.

ფართოვდება სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, იზრდება სკოლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების რაოდენობა. მოსახლეობის სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საავადმყოფოებში საწოლების საერთო რაოდენობა 1967 წელს აყვანილ იქნება 40 ათასამდე ნაცვლად 38,6 ათასი საწოლისა 1966 წელს.

საბიუჯეტო კომისიის დასკვნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის გეგმის შესახებ დეპუტატებს დაურიგდათ. საბიუჯეტო კომისია თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის გეგმა შედგენილია სწორად და მთლიანად უპასუხებს ეკონომიკისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანებს, რომლებიც დასმულია ჩვენი ქვეყნის წინაშე მიმდინარე ხუთწლედის გეგმით. ამიტომ საბიუჯეტო კომისიის წინადადება შემოაქვს მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

ამავე დროს საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის შესრულების პროცესში გამოვლინებულია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. არ სრულდება ელექტროენერგიის, კარბოლაქტამის, ქიმიური ბოჭკოების, ბამბის ქსოვილების, რბილი სახერხავის, შაქრისა და სხვა საწარმოების წარმოების გეგმა. მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმას, გადიდებულია ნაწარმის თვითღირებულება. ცალკეულ სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში დაგროვილია სასურსათო საქონლის ზედგამეთი ნაშთები. 1966 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის შედეგად სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ძირითადი ფონდების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაახლოებით 93 პროცენტს შეადგენს.

საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის გეგმით დადგენილ დავალებათა დროზე და სრულად შესრულება.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მოგვეცით მოკლედ დავახასიათო საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა შემოსავლის ნაწილში 1.049.101 ათასი მანეთით ანუ 100,1 პროცენტით, გასავლის ნაწილში — 1.046.335 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 99,8 პროცენტით.

საბიუჯეტო კომისიამ სხვა დარგობრივი კომისიების მონაწილეობით განიხილა საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და შემოიტანა (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად) წინადადება დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლით 1.049.101 ათასი მანეთის, ხარჯებში — 1.046.335 ათასი მანეთის, შემოსავლის გადამეტებით ხარჯებზე 2.766 ათასი მანეთის ოდენობით.

ამხანაგო დეპუტატებო!

მომდინარე წელს საბიუჯეტო კომისიამ ორჯერ განიხილა რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა. ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალები გვიჩვენებენ, რომ ბიუჯეტის შემოსავლის დაზუსტებული გეგმა 9 თვეში შესრულებულია 74,4 პროცენტით, ხოლო ხარჯები ამავე პერიოდში ათვისებულია 70,7 პროცენტით.

როგორც ბრუნვის გადასახადის, ისე მოგების ანარიცხების გეგმები მთლიანად დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. მიუხედავად ამისა, არ შესრულებული პროდუქციის ცალკეული სახეობის მიხედვით ბრუნვის გადასახადის გეგმა. მოგების ანარიცხების გეგმის შესრულების საქმეში ჩამორჩებიან მშენებლობის, სამინისტრო, ხორცისა და რძის სამინისტროს საწარმოები და სხვ. თუ გავითვალისწინებთ დამატებითს დაკალებებს, ვაჭრობის სამინისტროსა და მომხმარებელთა საზოგადოების სისტემას შესრულებული არა აქვს საცალო საქონელბრუნვის გეგმა. ამ პერიოდში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა სანახობათა გადასახადის გეგმის შესრულებაც. საანგარიშო პერიოდში კვლავ ეხედებით საგადასახადო დისციპლინის დაოდენეგის შემთხვევებს, რის გამო დაგროვილია საკმაოდ დიდი თანხის ნარჩენები.

იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც გარღვევები აღმოაჩნდათ შემოსავლის გეგმის შესრულებაში, უნდა განიხილონ ცალკეული ნაწილის ნარჩენების ლიკვიდაციის ღონისძიებანი შექმნილი ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. თუ როგორ შეძლეს მათ ეს, ფუ რამდენად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი საქართველოს ბიუჯეტის წინაშე, ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მომდინარე წლის დამთავრების შემდეგ შეიძლება.

მაგრამ ჩვენ ამჟამადაც მოგვეპოვება ზოგიერთი მაჩვენებელი, კერძოდ მომდინარე წლის 11 თვის მანძილზე ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომდინარე წლის ბიუჯეტი, მართალია, დამაკმაყოფილებლად შესრულდა, მაგრამ ჩამორჩენა და ცალკეული ხარვეზები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 9 თვის მანძილზე, მაინც არ იქნება გამოსწორებული.

ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომი საფინანსო ყურადღებას არ აქცევს სახელმწიფო გადასახადებისა და გადასახდელთა ნარჩენების ლიკვიდაციის საქმეს, რის გამო მომდინარე წლის ბოლოსთვის ნარჩენები გვექნება მნიშვნელოვანი ოდენობით.

სამინისტროებისა და უწყებათა საწარმოების სამეურნეო საქმიანობის პროცესში ჯერ კიდევ მოგვეპოვება უნაყოფო ხარჯების, ძირითად საშუალებათა არასწორად გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების ზრდის, მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგის არსებობის, წარმოებაში არარიტმულობის ფაქტები და სხვ. სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გადახედონ დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობას, მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება.

არსებული მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული საფინანსო დისციპლინის მერყეობა.

საჭიროა მომავლისათვის ყველა ზემოხსენებულ საქმეში დამყარდეს სახელმწიფოებრივი წესრიგი.

ამხანაგო დეპუტატებო! გადავდივარ საქართველოს სსრ 1967 წლის ბიუჯეტის პროექტის დახასიათებაზე.

საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში წარმოდგენილია 982,040 ათასი მანეთის ოდენობით.

1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ფულადი რესურსები სრულად უზრუნველყოფენ ყველა ღონისძიებას, რაც დასახულია ამავე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლის წყაროს შეადგენს ბრუნვის გადასახადი ანარიცხების სახით. 1967 წელს ეს შემოსავალი განისაზღვრება 477.029 ათასი მანეთით, ხოლო მოგების ანარიცხები გათვალისწინებულია 245.386 ათასი მანეთის ოდენობით.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი წლის გეგმებს ორივე მთლიანად, არაუმეტეს ნაკლებ შეესრულებთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგების და მის როლს წარმოების ეკონომიურ სტიმულირებაში. მოგების გეგმის შესრულება და რენტაბელობის დონე წარმოადგენს გადამწყვეტ მაჩვენებლებს საწარმოს მუშაობის ეფექტურობის შეფასებისათვის. ეს ვალდებულს ხდის სამეურნეო მუშაკებს ყოველი ღონისძიებით გამოავლინონ დამატებითი შიდაზრესურსები, გამოიჩინონ მაქსიმალური მომჭირნეობა მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენებაში და იზრუნონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაგეგმილი 982.040 ათასი მანეთიდან სახალხო მეურნეობის დარგებისთვის ითვალისწინებს 376.782 ათას მანეთს, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე — 563.974 ათას მანეთს და ა. შ.

სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებას ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში ბრუნვა ეზიდება 1.049.101 ათასი მანეთით, ეს ნიშნავს, 100,1 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. ეს შესაძლებელს ხდის მრეწველობის, სანშენო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელებას.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გეგმით გათვალისწინებულია 1.720 მილიონი მანეთის ოდენობით.

ფართოვდება სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, იზრდება სკოლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების რაოდენობა. მოსახლეობის სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საავადმყოფოებში საწოლების საერთო რაოდენობა 1967 წელს აყვანილ იქნება 40 ათასამდე ნაცვლად 38,6 ათასი საწოლისა 1966 წელს.

ამ ზომებმა ჩვენ ამჟამადაც მოგვეპოვება ზოგიერთი მაჩვენებელი, კერძოდ მომდინარე წლის 11 თვის მანძილზე ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომდინარე წლის ბიუჯეტი, მართალია, დამაკმაყოფილებლად შესრულდა, მაგრამ ჩამორჩენა და ცალკეული ხარვეზები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 9 თვის მანძილზე, მაინც არ იქნება გამოსწორებული.

ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომი საფინანსო ყურადღებას არ აქცევს სახელმწიფო გადასახადებისა და გადასახდელთა ნარჩენების ლიკვიდაციის საქმეს, რის გამო მომდინარე წლის ბოლოსთვის ნარჩენები გვექნება მნიშვნელოვანი ოდენობით.

სამინისტროებისა და უწყებათა საწარმოების სამეურნეო საქმიანობის პროცესში ჯერ კიდევ მოგვეპოვება უნაყოფო ხარჯების, ძირითად საშუალებათა არასწორად გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების ზრდის, მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგის არსებობის, წარმოებაში არარიტმულობის ფაქტები და სხვ. სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გადახედონ დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობას, მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება.

არსებული მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული საფინანსო დისციპლინის მერყეობა.

საჭიროა მომავლისათვის ყველა ზემოხსენებულ საქმეში დამყარდეს სახელმწიფოებრივი წესრიგი.

ამხანაგო დეპუტატებო! გადავდივარ საქართველოს სსრ 1967 წლის ბიუჯეტის პროექტის დახასიათებაზე.

საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში წარმოდგენილია 982,040 ათასი მანეთის ოდენობით.

1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ფულადი რესურსები სრულად უზრუნველყოფენ ყველა ღონისძიებას, რაც დასახულია ამავე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლის წყაროს შეადგენს ბრუნვის გადასახადი ანარიცხების სახით. 1967 წელს ეს შემოსავალი განისაზღვრება 477.029 ათასი მანეთით, ხოლო მოგების ანარიცხები გათვალისწინებულია 245.386 ათასი მანეთის ოდენობით.

ამ ზომებმა ჩვენ ამჟამადაც მოგვეპოვება ზოგიერთი მაჩვენებელი, კერძოდ მომდინარე წლის 11 თვის მანძილზე ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომდინარე წლის ბიუჯეტი, მართალია, დამაკმაყოფილებლად შესრულდა, მაგრამ ჩამორჩენა და ცალკეული ხარვეზები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 9 თვის მანძილზე, მაინც არ იქნება გამოსწორებული.

ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომი საფინანსო ყურადღებას არ აქცევს სახელმწიფო გადასახადებისა და გადასახდელთა ნარჩენების ლიკვიდაციის საქმეს, რის გამო მომდინარე წლის ბოლოსთვის ნარჩენები გვექნება მნიშვნელოვანი ოდენობით.

სამინისტროებისა და უწყებათა საწარმოების სამეურნეო საქმიანობის პროცესში ჯერ კიდევ მოგვეპოვება უნაყოფო ხარჯების, ძირითად საშუალებათა არასწორად გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების ზრდის, მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგის არსებობის, წარმოებაში არარიტმულობის ფაქტები და სხვ. სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გადახედონ დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობას, მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება

ამ სურათზე აღბეჭდილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი სხდომათა შორის შესვენების დროს (მარცხნიდან მარჯვნივ): ტყვარჩელის № 2 შახტის სამთო ოსტატი ნ. პონომარიოვი, გორის რაიონის ზედფლულეთის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ბ. ცერცვაძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამმართველი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის „ისანის“ მკერავი ა. ასტვაცაცაროვა, ამბროლაურის რაიონის წესის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირი ი. მელაშვილი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ალგო-საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ძაბაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ვლ. გინზბურგისა.

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა და თანამოხსენების გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით მოგახსენოთ ამ ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია მეგვიანი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის შემდეგ და რომლებიც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, უნდა დამტკიცოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 29 ოქტომბრის მიიღო ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნო ოლქების შექმნის ნორმის შეცვლის შესახებ.

ბრძანებულებით დადგინდა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საარჩევნო ოლქების მიხედვით აირჩევიან რესპუბლიკის მოქალაქენი, შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 11.000 მცხოვრებზე, როგორც ცნობილია, აირჩევ ერთ დეპუტატს ირჩევდნენ 10.000 მცხოვრებზე.

ამ ბრძანებულების დამტკიცების შემდეგ საჭირო იქნება სათანადო ცვლილებანი შეტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28-ე მუხლში.

მიმდინარე წლის 29 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკური სამინისტროს [illegible] რესპუბლიკურ სამინისტროდ [illegible] საქართველოს სსრ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სთხოვს სესიას დამტკიცოს აღნიშნული ბრძანებულებანი და [illegible] შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55-ე და 56-ე მუხლებში.

ამ საკითხებზე კანონების პროექტები [illegible] დეპუტატებს დაურიგდათ.

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა მთელი რიგი ბრძანებულებანი, რომლებთაც [illegible] ადმინისტრაციული და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი სახის გადაცდომისა და დანაშაულზე და შეტანილ იქნა ცვლილებანი [illegible] კანონმდებლობაში.

1966 წლის 29 აგვისტოს მიღებულ [illegible] ბრძანებულება „საქართველოს სსრ [illegible] უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 [illegible] 19 აპრილის ბრძანებულების „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გადაკვეთის შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ მე-15 მუხლის დამატების თაობაზე“.

ამ ბრძანებულების თანახმად მიღებულ ორგანოებს უფლება ეძლევათ ადმინისტრაციული კომისიისთვის მიუმართავად დააჯარიმონ ის უცნოელი და მოქალაქეობა არმქონე პირნი, რომლებიც [illegible] სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრების, გაწერისა და მიმოსვლის [illegible].

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს [illegible] პრეზიდიუმმა 1966 წლის 29 აგვისტოს [illegible] ბრძანებულება ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევ[illegible] პასუხისმგებლობის შესახებ.

ბრძანებულებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომ[illegible] დაწესებულია ზედამხედველობა, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით ათი მანეთიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

1966 წლის 30 ნოემბრის მიღებულ იქნა ბრძანებულება ამ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს აარიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას.

აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე დაწესდა, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომლებსაც არა სურთ პატიოსნად იშრომონ, თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, შრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაებმებიან იმ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, რომლებიც მათთ საცხოვრებელი რაიონის და ქალაქის ფარგლებშია.

თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სამუშაოზე გაგზავნილი პირი არ შეიდგა მუშაობას ან სამუშაოზე მოწყობის შემდეგ ფაქტიურად თავს არიდებს შრომას, მაშინ ამ პირს სახალხო სასამართლოს დადგენილებით შეუფარდებენ გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთ წლამდე, და დაუკავებენ ხელფასის 10 პროცენტს.

იმ შემთხვევაში თუ ეს პირნი თავს აარიდებენ გამასწორებელ სამუშაოებს, სასამართლოს შეუძლია ეს სასჯელი შეუცვალოს თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 3 ოქტომბერს მიიღო ბრძანებულება რელიგიურ კულტთა კანონმდებლობის დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

ამ ბრძანებულების თანახმად იმ პირთ, რომლებიც დაარღვევენ კანონმდებლობას რელიგიურ კულტთა შესახებ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისია დააჯარიმებს თანხით ორმოცდაათ მანეთამდე.

1966 წლის 29 აგვისტოს, 3 ოქტომბრისა და 30 ნოემბრის ბრძანებულებებით შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით; ამ ცვლილების თანახმად სასჯელის განსაზღვრის დროს პასუხისმგებლობის ერთ-ერთ დამახასიათებელ გარემოებად ითვლება დანაშაულის ჩადენა სიმთვრალეში. მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა დანაშაული, არ ცნოს ეს გარემოება პასუხისმგებლობის დამაძიძიებელ გარემოებად.

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 209-ე მუხლიც. თუ მანამდე ისჯებოდა მუქარა ან ძალადობა თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი მუშაკის მიმართ, ამ მუხლში შეტანილი ცვლილების თანახმად ისჯება ამრეთვე მუქარა, მიმართული იმ მოქალაქისმიმართ, რომელიც მონაწილეობს დანაშაულის ან ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აცდენასა და აღკვეთაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 216^1 და 219^1 მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ სიახლისსამართლებრივ პასუხის მგებლობას უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლის წესების და ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების ბოროტი დარღვევისათვის.

ამავე ბრძანებულებით შემოღებულია უფრო მკაცრი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხულიგნური მოქმედებისათვის,- განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის.

1966 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. დადგენილია ხულიგნობის საქმეების, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის უფრო შემჩქარებული ვადები.

1966 წლის 3 ოქტომბერს მიღებულ იქნა ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 148 მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

ბრძანებულებით დადგინდა, რომ სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე გასამართლებული იყო აღნიშნულ კანონთა დარღვევისათვის, აგრეთვე ორგანიზაციული მუშაობა ასეთ მოქმედებათა ჩასადენად — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით შეტანილია დამატება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში და ცვლილებანი და დამატებანი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელთა საფუძველზე დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა: ისეთი ცრუ მონაჭორის შეგნებულად გავრცელებისათვის, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წესწყობილებას; სახელმწიფო გერბის ან დროშის შებღალვისათვის, ისეთი ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისათვის ან მასში აქტიური მონაწილეობისათვის, რაც აღღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

დადგინდა, რომ ამ დანაშაულთა საქმის გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები, ხოლო სამსჯავრო განხილვას — შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილია აგრეთვე დამატებები და ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებენ გამოძიების დროს სტენოგრაფირებას, ხმის ჩაწერის, მანქანაზე ბეჭდვის, ფოტოგრაფირების, კინოგადაღების გამოყენებას და სალამომძიებლო მოქმედების წარმოებაში სპეციალიტის უფრო ფართოდ ჩაბმას.

ამხანაგო დეპუტატებო! 1966 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაუშვა ამხ. თ. ვ. გერასიმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებელად.

ამასთან დაკავშირებით, წინადადება შემომქვს არჩეულ იქნას ამხ. თეიმურაზ ვალერიანის-ძე გერასიმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ კანონების და დადგენილების წარმოდგენილი პროექტები და დაამტკიცოთ ისინი. (ტაში).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ა. ჩოფიკაშვილის სიტყვა

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები წარმატებით ამთავრებენ იმ ამოცანათა შესრულებას, რომლებიც დასახულია მათ წიაღში მიმდინარე წელს. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის შეასრულეს, გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე გამოშვებულ იქნება კიდევ რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

ბევრი რამ გაკეთდა საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. წელს კაპიტალური დაბანდებანი ქალაქის მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროდან 59 მილიონ მანეთს მიაღწევს. წინასწარი განგაიარებენ, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა თითქმის 15 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდება. გასაკუთრებით დიდი გადამეტებით შესრულდება კომუნალური მეურნეობის ობიექტების, კერძოდ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის გეგმა. ყველა ამ წარმატებამ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვიფართოებინა ქალაქო მეურნეობის ყველა დარგი, გაგვეუმჯობესებინა ქალაქის მოსახლეობის მომსახურება.

ამჰ. ჩოფიკაშვილი წარმატებებთან ერთად აღნიშნავს ნაკლოვანებებსაც ქალაქო მეურნეობის განვითარებაში. დიდი ჩამორჩენაა სანიაღვრე მშენებლობაში. მარტო მიმდინარე წლის სამ კვარტალში ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციებმა გეგმის დაიკლეს 61.900 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. არ განხორციელებულა ჯერ ოვანი დონისძიებანი კოოპერაციული სახლიანი მშენებლობის ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

თბილისის მშრომელები უკვე შეუდგენენ მზადებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის. სამრეწველო საწარმოებში და სამშენებლო ორგანიზაციებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ამ დიდი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის. დასახულია ამოქმედდეს ქალაქის ცეთილმოწყობის მთელი რიგი მსხვილი ობიექტები. მათ შორის თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მეორე უბანი „რუსთაველის მოედანს“ სადგურიდან „300 არაგველის“ სადგურამდე. დამთავრდება პირველი რიგის ოდიენი შენობის — სასტუმრო „ევროპის“ მშენებლობა.

თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისა და მოსახლეობის „კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ორატორი სთხოვს სესიას დამატებითი სახსრები გამოუყოს საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

დეპუტატ ლ. მ. უკლებას სიტყვა

დღევანდელ სესიაზე წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები მნიშვნელოვანი დოკუმენტებია, რომელთა განხორციელება ახალ ნათელ პერსპექტივებს უსახავს საქართველოს მშრომელებს.

საქართველოს მშრომელთა იმ თვალსაჩინო წარმატებებში, რომლის დიდი აღიარება იყო მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, თავიანთი წვლილი შეიტანეს აჭარის მშრომელებმაც. ხუთწლიანის პირველ წელს დიდი წარმატება მოიპოვა ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ, რომელმაც ყველა მოსახლეობა, თბილისის მეცხრე ბავშვთა პოლიკლინიკამ, ქუთაისისა და აფხაზეთის რესპუბლიკურმა საავადმყოფოებმა, ზეთეწყაროს, წყალტუბოს რაიონულმა საავადმყოფოებმა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, განაგრძობს ორატორი, სამედიცინო მომსახურების საქმე რესპუბლიკაში ყველგან ჯერ კიდევ როდი დგას სათანადო დონეზე, განსაკუთრებით ეს თქმის ბავშვთა სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის საკითხზე. მართალია წელს შარშანდელთან შედარებით მკვეთრად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, განსაკუთრებით კი ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა შორის, მაგრამ ნაკლოვანებანი ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაში მაინც ბევრი გვაქვს.

წლიდან წლამდე ვერ სრულდება საავადმყოფოების მშენებლობის გეგმები. მაგალითად, თბილისში 1965 წლის 1 იანვრიდან დაიწყო მრავალპროფილიანი რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა, რომლის საწოლთა რიცხვი 1.100 იქნება. ეგი თავისი ტიქნიკური აღჭურვილობითა და სამშენებლო გადაწყვეტით ერთ-ერთი უნიკალური იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ამ საავადმყოფოს მშენებლობა მეტად ჭიანურდება.

რესპუბლიკაში შედგენილია და ხორციელდება მრავალპროფილიანი მსხვილი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების შექმნის პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობა თბილისში, მახარაძეში. ზუგდიდში, გორში და მთელ რიგ სხვა რაიონებსა და ქალაქებში. ეს საგრძნობლად გაუმჯობესებს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების საქმეს. მაგრამ მარტო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ უახლოეს ხანში საჭირო რაოდენობის საწოლებით მოსახლეობის უზრუნველყოფას. საჭიროა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობებმა, საწარმო-დაწესებულებებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა და სხვა ორგანიზაციებმა.

დეპუტატ ლ. ა. საყვარელიძის სიტყვა

ნაყოფიერი იყო მიმდინარე წელი მედიცინის მუშაკებისათვისაც, აღნიშნავს დეპუტატი საყვარელიძე. წელს მნიშვნელოვნად შემცირდა რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო დაავადებანი და სიკვდილიანობის მაჩვენებლები. განსაკუთრებით შემცირდა ბავშვთა დაავადება და სიკვდილიანობა. რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებში მკვეთრად ამაღლდა სამედიცინო მომსახურების კულტურა, გაფართოვდა სპეციალიზებული დაწესებულებანი.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოიპოვეს აჭარის რესპუბლიკურმა ონკოლოგიურმა დისპანსერმა, რომელმაც საკვლევრო შეჯიბრებაში პირველი პრემია დაიმსახურა, თბილისის მეცხრე ბავშვთა პოლიკლინიკამ, ქუთაისისა და აფხაზეთის რესპუბლიკურმა საავადმყოფოებმა, ზეთეწყაროს, წყალტუბოს რაიონულმა საავადმყოფოებმა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, განაგრძობს ორატორი, სამედიცინო მომსახურების საქმე რესპუბლიკაში ყველგან ჯერ კიდევ როდი დგას სათანადო დონეზე, განსაკუთრებით ეს თქმის ბავშვთა სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის საკითხზე. მართალია წელს შარშანდელთან შედარებით მკვეთრად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, განსაკუთრებით კი ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა შორის, მაგრამ ნაკლოვანებანი ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაში მაინც ბევრი გვაქვს.

წლიდან წლამდე ვერ სრულდება საავადმყოფოების მშენებლობის გეგმები. მაგალითად, თბილისში 1965 წლის 1 იანვრიდან დაიწყო მრავალპროფილიანი რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა, რომლის საწოლთა რიცხვი 1.100 იქნება. ეგი თავისი ტიქნიკური აღჭურვილობითა და სამშენებლო გადაწყვეტით ერთ-ერთი უნიკალური იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ამ საავადმყოფოს მშენებლობა მეტად ჭიანურდება.

რესპუბლიკაში შედგენილია და ხორციელდება მრავალპროფილიანი მსხვილი საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების შექმნის პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობა თბილისში, მახარაძეში. ზუგდიდში, გორში და მთელ რიგ სხვა რაიონებსა და ქალაქებში. ეს საგრძნობლად გაუმჯობესებს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების საქმეს. მაგრამ მარტო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ უახლოეს ხანში საჭირო რაოდენობის საწოლებით მოსახლეობის უზრუნველყოფას. საჭიროა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობებმა, საწარმო-დაწესებულებებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა და სხვა ორგანიზაციებმა.

დეპუტატ კ. კ. ჯიოევის სიტყვა

სამხრეთ ოსეთის მშრომელები წარმატებით ამთავრებენ ახალი ხუთწლიდის პირველ სამეურნეო წელს. წინასწარი მონაცემებით, ოქტის მრეწველობა წლიურ გეგმას გადაჭარბებით შესრულებს და სახელმწიფოს მისცემს 1.400 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას.

კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა დაეფიალა შრომის შედეგად კარგად დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო წელიც.

მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი, განაგრძობს დეპუტატი, ოლქში მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაპიტალური მშენებლობა. წელს ვერ შესრულდება სახელმწიფო გეგმები. ამის მიზეზია სამშენებლო ორგანიზაციათა მოუქნელობა. ამასთანავე სამინისტროები, რომლებსაც სამხრეთ ოსეთში აქვთ თავისი სამშენებლო ორგანიზაციები, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ისინი სამშენებლო მასალებითა და მექანიზმებით, არ იჩენენ საჭირო სიმტკიცეს საკითხების გადაწყვეტაში. მაგალითად, წელს ლენინგორის რაიონულ ცენტრში დაიწყო თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 60 ათასი მანეთია. ამ ობიექტის მშენებლობა, რომელსაც აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, მუხედავად ჩვენი არაერთგზისი თხოვნისა, შეუფუნარებლად ჭიანურდება. მიმდინარე წლის 11 თვეში ათვისებულია მხოლოდ 5 ათასი მანეთი. ესე იგი მშენებლობა სრულიად ჩაშლილია. ასეთი მაგალითები კი სამხრეთ ოსეთში საკმაოდ ბევრია.

დეპუტატი ლაპარაკობს 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში. ამ ბიუჯეტის ერთ-ერთ ძირითადი ნაწილია ოლქის ბიუჯეტი. ეს ბიუჯეტი 1967 წელს 1.400 ათასი მანეთის ზეგეგმით ამოქმედდება. ეს ფასეულობა ოლქის ეკონომიკურ ზრდის ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორია

პუბლიცისტის ცხოვრების გზა

ვლ. მაჭავარიანის დაბადების 60 წლისთავის გამო

1966 წელს. თებერვალი. მაროკო. ფესისა და რაბათის უნივერსიტეტების აუდიტორიები. ამ დღეებში გაცილებით მეტი ხალხი მოდის აქ ვიდრე ჩვეულებრივ; პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს გარდა, დერეფნებში შეხვდებით მაროკოს გამოჩენილ მწერლებს — არაბებსა და ფრანგებსაც. რაზე კამათობენ ისინი ასე ცხარედ, რატომ არ ცხრება დისკუსია გვიან შუაღამემდე?

კათედრასთან დგას შუა ტანის კაცი. ერთი შეხედვით ძნელია გაარჩიო იგი ფრანგისა თუ იტალიელისაგან, მაგრამ ცნობილი მაროკელი პოეტი და მოაზროვნე ლაბბადი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ დისკუსიას, აცხადებს, რომ ეს კაცი საქართველოდან არის. ვნახოთ, რას იტყვის! ყველანი ინტერესით შესცქერიან შორეთიდან ჩამოსულს.

— ბლედში, პენკლუბის მსოფლიო კონგრესზე, — იწყებს ორატორი, — მე ვესაუბრე ახალგაზრდა პოეტს კრისტოფ ასამოის, იგი ზამბიის ქვეყნიდან იყო ჩამოსული; მან მითხრა, რომ მისმა ხალხმა 1964 წელს მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ვკითხე, რომელია-მეთქი თქვენი თავისუფალი ქვეყნის ოფიციალური ენა? ინგლისურიო, მიპასუხა. თქვენ რომელ ენაზე წერთ ლექსებს? ინგლისურზეო. ესმის თქვენს ხალხს, ბანტუს ენაზე მოლაპარაკე ხალხს, თქვენი ლექსები? არაო. მაშ ვისთვის წერთ? მცირე ინტელექტუალური ელიტასათვის? ორმოცდაათი კაცისათვის? არა, ახალი კულტურის მშენებლობას ასე არ იწყებენ. თუ გინდა დაამახსოვრო თავი შენს ხალხს, ამოუდგე მას მხარში, იყო მასთან ჭირსა და ლხინში, წერე შენს დედაენაზე! უამისოდ მარტო ეროვნული კულტურა კი არა, ეროვნებაც არ არსებობს.

ორატორს ყველა უკვე დაძაბული ინტერესით უსმენს. ეს ძალზე მწვავე და საჭირბოროტო საფიქრალია ახლა აფრიკის მთელი კონტინენტის ხალხებისა და მათი ინტელიგენციისათვის. ბოლო ათი წლის მანძილზე, 1956-1966 წლებში აფრიკის კონტინენტზე ოცდაათზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა; აქედან მრავალი სახელმწიფოს ოფიციალური ენაა ინგლისური (განა, ზამბია, ლიბერია, უგანდა და სხვ.), უფრო მეტისა — ფრანგული (გვინეა, დაგომეა, ტოგო, მალი და სხვ.), კამერუნისა ორივე — ფრანგუელიც და ინგლისურიც, ხოლო სომალის რესპუბლიკაში ოთხი სახელმწიფო ენაა — სომალური, არაბული, იტალიური და ინგლისური. ამავე დროს ყველა ამ სახელმწიფოს ხალხები თავიანთ დედაენაზე მეტყველებენ და მათივე სახელმწიფოს ოფიციალური ენა მათთვის არის წიგნი, „დაბეჭდილი ბეჭდითა შეიდითა". ნიგერიაში 56 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, აქედან ინგლისელი მარტო 15 ათასია. დანარჩენები არიან ნიგერიელები — ხაუსას, ფულბეს, იბოს, იორუბას და კიდევ ათიოდე ტომის ხალხები. მათ არც ინგლისური ესმით და, გარდა ამისა, ვერც ერთმეორის ენას იგებენ. სახელმწიფო ენა კი ინგლისურია. რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? — კითხულობენ იქაური პოეტები და პროზაიკოსები. მართლაც ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რაოდენ სიძნელეებს აწყდება ამ ქვეყნების ხალხთა ახალგაზრდა ინტელიგენცია. მას დახმარება სჭირდება, ძმური ხელის გაწვდენა, გამოცდილების გაზიარება, გზის ჩვენება. აქ უაღრესად დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები, საბჭოთა მწერლები და პუბლიცისტები; მათ რიცხვს ეკუთვნის ის ორატორი, რომელიც ახლა ფესის უნივერსიტეტის ტრიბუნაზე დგას და ლაპარაკობს.

ზამბიელი პოეტის ამბიდან ორატორი თეორიის სფეროში გადადის. აღნიშნავს, თუ როგორ ხდება ერის წარმოქმნა მონათესაეე ტომთა კონსოლიდაციისა და დაახლოების საფუძველზე, საერთო ენის, ფსიქოლოგიის, ტერიტორიის, ეკონომიური ერთობის საფუძველზე. ზოგან ეს მოხდა საუკუნეების მიღმა, ზოგან კი — გუშინ და გუშინწინ, ზოგან დღეს და ხვალ უნდა მოხდეს. აი ცოცხალი მაგალითიც; არის საბჭოთა კავშირში ერთი მთაგორიანი ქვეყანა, მასში მილიონზე ცოტა მეტი მცხოვრებია, მაგრამ მის ტერიტორიაზე უფრო მეტი ტომები ბინადრობენ, ვიდრე ზემოთხასხენებ ნიგერიაში. დიახ, გაცილებით მეტი, ყოველ ხეობას იქ თავისი ენა აქვს. ამ მთიანი ქვეყნის — დაღესტანზეა ლაპარაკი — მწერლობას ოთხი ლიტერატურული ენა აქვს, ოთხივე მონათესავე ტომთა მრავალ განშტოებას ფიცავს, მაგრამ ახლა უკვე ყველას ესმის. ახლა მათ ჰყავთ პოეტები, რომლებსაც მთელი მსოფლიო იცნობს.

დარბაზში, როგორც იტყვიან, გამოცოცხლებაა. რამდენი არიან? ერთი მილიონი? მერე მათ თავიანთ ენაზე აქვთ სკოლები? არა მარტო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლებიც — უნივერსიტეტი, პედაგოგიური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. ეს არის აღორძინებული დიდად განვითარებული ქვეყანა, რომელიც ცხოვრების არცერთ სფეროში არ ჩამორჩება ვისმე; მას აქვს ეროვნული კულტურა, დაფუძნებული უძველეს ხალხურ ტრადიციებზე.

მაგრამ ჭრელია აფრიკა, ისე როგორც ყველა კონტინენტი დედამიწისა. ამიტომ

ერთი თარგი არავის გამოადგება, წინასწარ აღებული ყალიბით ვერაფერს გააწყობ. აქ დიდი ხელოვნებაა საჭირო, ეროვნული კულტურის მშენებლობის საკითხი კი უკვე დაყენა ისტორიამ და იგი დაყოვნებას აღარ ითმენს. ის მწვავედ დგას არა მარტო ნიგერიაისა თუ დაგომეაში, არამედ აფრიკის ე. წ. მაღრიბულ ქვეყნებშიც (ალჟირი, მაროკო, ტუნისი და სხვ.); ამ ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებში მეტად ძლიერია დასავლური კულტურის, კერძოდ ფრანგული კულტურის ზეგავლენა. ეს გასაგებია ყველასათვის, ვინც იცობს კოლონიალიზმის ისტორიას. ახლა, განთავისუფლების შემდეგ, აქ ძალზე თავისებური ვითარება შეიქმნა.— მაროკოელ მწერალთა ერთი ნაწილი წერს არაბულ ენაზე, მეორე ნაწილი — ფრანგულზე და, რაც მთავარია, ჯერ თითქოს არ დამთავრებულა დავა — რომელ ენას მიეცეს უპირატესობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საფრანგეთი უაღრესად მოწინავე კულტურის ქვეყანაა, ჰუმანიზმისა და ცივილიზაციის უძველესი აკვანია. ყველაფერი კარგი, რაც ფრანგ ხალხს შეუქმნია, ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ეხმარება მის წინსვლას. ყველაფერი ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ-ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ახალი ეროვნული კულტურის სუბსტრატი, მისი საფუძველი — ეროვნული ენა და ეროვნული ტრადიცია უნდა იყოს. დიდება ფრანგულ ენასა და კულტურას, ყველა ხალხის კულტურას, მაგრამ დედაენა მაინც დედაენაა — „არ გაიცვლების სხვაზედა", რაფიელ ერისთავის ხევსურის სიტყვებით რომ ვთქვათ.

რა საფუძველზე და რა გზით უნდა განვითარდეს ახლადგანთავისუფლებული ქვეყნების კულტურა და ლიტერატურა — ამაკე საკითხებიზმდინ იყო მიძღვნილი აზიისა და აფრიკის მწერალთა მოსკოვის ფორუმი (1965 წელი); ვლ. მაჭავარიანი აქაც აქტიური მონაწილე იყო მეტად მწვავე დისკუსიისა.

ამრიგად, მთელი ეს შორეული გზები, საფრანგეთი იქნება თუ ინგლისი, იტალია თუ ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი თუ პოლონეთი, იუგოსლავია თუ მეგრძოლი ვიეტნამი, ვლ. მაჭავარიანისათვის არის არა უბრალო ტურისტული მარშრუტები, თვალისა და გულის გადასაყოლებლად დაწყებული მოგზაურობა, არამედ ის დადის, როგორც რიგითი წარმომადგენელი ჩვენი კულტურისა, რათა სხვებსაც გაუზიაროს საბჭოთა ეროვნული კულტურის მშენებლობის გამოცდილება; აქ თავის როლს ასრულებს ის გარემოებაც, რომ ვლ. მაჭავარიანი არის ავტორი საფუძვლიანი თეორიული გამოკვლევისა ეროვნული საკითხის შესახებ — „მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პროგრამის ჯამმოუშავების ისტორიიდან".

ეს მოგზაურობა ქვეყნიდან ქვეყნად ვლ. მაჭავარიანმა თავისი სიჭაბუკის წლებიდანვე დაიწყო.

ახლახანს საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა წერილი მიიღო ტუვიდან: შეეგვატყობინეთ, სად არის ამჟამად ვლადიმერ გიორგის-ძე მაჭავარიანი, ახლა ჩვენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას ვწერთ, და თუ მაჭავარიანი ცოცხალია, დავიწეროს მოგონებები, როგორ ჩაატარა მან 1928 წელს ტუვის რევოლუციური ახალგაზრდობის მეოთხე ყრილობა, რომელშაც დიდი როლი შეასრულა ტუვის არაკაპიტალისტური განვითარების გზაზე სოციალიზმისკენო.

ტუვიდან მაჭავარიანი მონღოლეთში მიდის, იქიდან — ტიბეტში... ყველაფერი ეს ხდება 1928 წელს; იმავე წლის ბოლოს მოსკოვში გამოდის მისი წიგნი „ტანა-ტუვა" (ს. ტრეტიაკოვის თანაავტორობით), ხოლო 1929 წლის დასაწყისში მაჭავარიანი უკვე ევროპის შუაგულშია. აქ მას აპატიმრებს ბელგიის საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია „სიურეტე ჟენერალ"; ქართველი ჭაბუკი კარგა ხანს ზის ხელფეხშებორკილი ფორეს, სენ-ჟილის, არლონის საპყრობილეებში; ტუსაღობის შემდეგ იგი თავს აფარებს ლუქსემბურგის საპერცოგოს; შემდეგ მას ბერლინში ვხედავთ; მომდევნო წელს უკვე ქუთაისშია, შემდეგ — თბილისში, ჯერ პარტიის რაიკომის მდივანია, მერე კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების გამგე. აქ მას მუშაობა უხდება კ. მარჯანიშვილთან, ნ. შენგელაიასთან, ვ. შკლოვსკისთან, ა. კულეშოვთან, ს. ტრეტიაკოვთან. შემდეგ იგი ჯერ სწავლული მდივანია, ხოლო მერე დირექტორის მოადგილე ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც შემდეგომში ერთ-ერთი საფუძველი გახდა ჩვენი მეცნიერებათა აკადემიისა.

იწყება ომი. ვლ. მაჭავარიანი ჯერ ირანშია, სადაც იმ დროს ჩვენი ჯარები იყო განლაგებული, შემდეგ კრასნოდარისა და ყირიმის ფრონტებზე. იგი რედაქტორობს საფრონტო გაზეთს ქართულ ენაზე. მომდევნო წლებში იგი საქართველოს კინოსტუდიის დირექტორია, შემდეგ — კინემატოგრაფიის მინისტრი, დაუცხრომლად ზრუნავს ქართული კინოხელოვნების აყვავებისა და გაძლიერებისათვის. თვალსაჩინოა მისი ღვაწლი და ამაგი ახალგაზრდობის აღზრდაშიც — ის იყო პირველი დირექტორი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტისა, მუშაობდა განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ და ა. შ.

ამ წლებში იგი კვლავ განაგრძობს ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას.

ამ ხუთიოდე წლის წინათ საქართველოს მწერალთა კლუბში მოეწყო „ლიტერატურნაია გაზეტას" მკითხველთა კონფერენცია. ეს კონფერენცია მეტად საინტერესო გამოდგა. იგი გასცილდა აღნიშნული გაზეთის მასალების განხილვას და შეეხო საერთოდ საკითხს, თუ როგორ აშუქებს საბჭოთა მწერლობა ჩვენი ქვეყნის წარსულს. ვლ. მაჭავარიანმა ამ კონფერენციაზე დაწერილებით განიხილა კ. პაუსტოვსკის წიგნი „ნახტომი სამშრეთისაკენ" და აღნიშნა, რაოდენი შეუსაბამობა გაპარვია მწერალს, როცა ის იცავნი წლების სოსუმის, ბათუმის და თბილისის ცხოვრების სურათებს გვიხატავდა. პაუსტოვსკის ეს ნაწარმოები ადიგეველი იყო ჟურნალ „ოქტიაბრში" და ავტორი მას ცალკე გამოსაცემად ამზადებდა.

სულ მალე მაჭავარიანმა დეპეშა მიიღო მოსკოვიდან — პაუსტოვსკი იწერებოდა, წიგნს გამოსაცემად ვამზადებ და თქვენი სიტყვის სტენოგრამა სწრაფად გამომიგზავნეთ, თუ სამართლიანია თქვენი შენიშვნები, ყველაფერს გავასწორებო. მაჭავარიანმა გაუგზავნა სტენოგრამა და აი რა პასუხი მიიღო:

„ძვირფასო ვლადიმერ გიორგის-ძეო! მიიღეთ ჩემი უღრმესი მადლობა ჩემდამი ნამდვილად მეგობრული დახმარებისათვის „სამხრეთისაკენ ნახტომზე" მუშაობის დროს. თითქმის ყველა (კაცმა, რომ თქვას, ეს „თითქმის" არც არის საჭირო, ნამდვილად „ყველა") თქვენი რჩევა-დარიგება ჩემთვის მისაღებია. თქვენი კ. პაუსტოვსკი".

ეს ერთი მცირე ეპიზოდიც კარგად ახასიათებს ვლ. მაჭავარიანის მთელ საქმიანობას, რომელიც გამსჭვალულია წრფელი და მხურვალე სიყვარულით სამშობლოსადმი, ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოსადმი. ამავე ვრცნობილი არის გამსჭვალული მისი წერილები „იდეურობა და ოსტატობა", „პოეტის ისტორიული მოწოდება". „როგორ ვამეწოთ", წერილები კ. მარჯანიშვილზე, შალვა დადიანზე, ანა კალანდაძეზე და სხვ.

ვლ. მაჭავარიანი მრავალი პოლემიკური წერილის ავტორია; აქ მას ბევრი სწორი და ჭეშმარიტი აზრი გამოუთქვამს, რაც დახმარებია ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის წინსვლის საქმეს.

ვლადიმერ მაჭავარიანი სამოცი წლისა გახდა; მაგრამ მე მგონია ის ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც ამ ასაკშიც ჭაბუკურ ხალისსა და სიმხნევეს ინარჩუნებენ. ეს არის უბრალო კაცი, იშვიათად რომ მოწყენილი და დაღონებული ნახო, და სადაც უნდა გამოჩნდეს იგი, ქუჩაში იქნება ეს თუ რედაქციის დერეფანში, უნდა იცოდე, რომ ან სადღაც მიდის, ან საიდანღაც ჩამოსულა და ამიტომ მუდამ სავსეა შთაბეჭდილებით და ცდილობს გაუზიაროს იგი მახლობელსა და ნაცნობს.

მისი წერილებიც მუდამ ასეთი საუბარია მკითხველთან, გულწრფელი საუბარი ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს მწერლობაზე, დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე.

გიორგი ნატროშვილი.

სსრ კავშირის XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

საფინალო გახსნა

გუშინ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი.

ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმა და წარმატება უსურვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. სარაძემ.**

ფინალისტებს მიესალმა აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონი **ნ. ალექსანდრია.** მონაწილეთა სახელით დამსწრეთ მაღლობა გადაუხადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ვ. სმისლოვმა.**

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ოსტატმა **ლ. აბრამოვმა** ილაპარაკა შეჯიბრების ორგანიზაციაზე, გულთბილ მიღებაზე, ჩემპიონატის მნიშვნელობაზე.

დარბაზში შემოდის 21 პიონერი, მათ უჭირავთ ალბომები, რომლებშიც მოთავსებულია ნომრები. წელსყრისას თვითეული მოჭადრაკე სურვილისამებრ ირჩევდა ალბომს და ამით იღებდა ნომერაციას.

აი როგორი ნომერაცია მიიღეს წელსყრის შედეგად მეტოქეებმა:

1. **ეფიმ გელერი** (ოდესა, გროსმაისტერი), 2. **ევგენი ვასიუკოვი** (მოსკოვი, გროსმაისტერი), 3. **ვლადიმერ ოსნოხი** (ლენინგრადი, საერთაშორისო ოსტატი), 4. **ლეონიდ შტეინი** (ლვოვი, გროსმაისტერი), 5. **იური ნიკოლაევსკი** (კიევი, ოსტატი), 6. **მარკ ტაიმანოვი** (ლენინგრადი, გროსმაისტერი), 7. **ვლადიმერ დოროშკევიჩი** (გროზნო, ოსტატი), 8. **ლევ პოლუგაევსკი** (მოსკოვის ოლქი, გროსმაისტერი), 9. **რატმირ ხოლმოვი** (სოჭი, გროსმაისტერი), 10. **ვლადიმერ სავონი** (ხარკოვი, ოსტატი), 11. **ედუარდ გუფელდი** (კიევი, საერთაშორისო ოსტატი), 12. **ივო ნეი** (ტალინი, საერთაშორისო ოსტატი), 13. **დავით ბრონშტეინი** (მოსკოვი, გროსმაისტერი), 14. **ივარ გისლისი** (რიგა, საერთაშორისო ოსტატი), 15. **ბუხუტი გურგენიძე** (თბილისი, ოსტატი) 16. **ანატოლი ლეინი** (ლენინგრადის ოლქი, საერთაშორისო ოსტატი), 17. **ვიქტორ კორჩნოი** (ლენინგრადი, გროსმაისტერი), 18. **ალექსანდრ სუეტინი** (მინსკი, გროსმაისტერი), 19. **ნიკოლოზ კროგიუსი** (სარატოვი, გროსმაისტერი), 20. **ვლადიმერ ლიბერზონი** (მოსკოვი, გროსმაისტერი), 21. **ვასილი სმისლოვი** (მოსკოვი, გროსმაისტერი).

გარდა ჩემპიონატის დიბუღლებით გათვალისწინებული ჯილდოებისა, სხვადასხვა დაწესებულებებმა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დააწესეს სპეციალური პრიზები. გაზეთ „კომუნისტის" ჯილდო დაწესებულია ყველაზე მეტი მოგებისათვის.

დღეს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მოჭადრაკეები საათებს ჩართავენ, დაიწყება XXXIV ჩემპიონატის ფინალური პაექრობა.

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: **ე. ვასიუკოვი — ვ. სმისლოვი, ვ. ოსნოხი — ლ. ლიბერზონი, ლ. ზაგორიანი — ნ. კროგიუსი, ი. ნიკოლაევსკი — ა. სუეტინი, მ. ტაიმანოვი — ვ. კორჩნოი, ვ. დოროშკევიჩი — ა. ლეინი, ლ. პოლუგაევსკი — ბ. გურგენიძე, რ. ხოლმოვი — ა. გისლისი, ვ. სავონი — დ. ბრონშტეინი, ე. გუფელდი — ი. ნეი.**

ე. გელერი პირველ ტურში თავიუფალია.

სურათზე: ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. სსრ კავშირის ჩემპიონი **ნ. ალექსანდრია** მიესალმება. მონაწილეებს.

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ინტერვიუ

როგორც ცნობილია, თბილისის საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალში გამოდის 12 გროსმაისტერი, 5 საერთაშორისო ოსტატი და 4 ოსტატი. ჩვენი კორესპონდენტი ეწვია პირველობის მონაწილეებს და სატბარი ჰკონდა ზეპიდან დასახელებული ფოდების თითო ფარგომადგენელთან. აი რას გვიამბობენ ისინი:

ვასილ სმისლოვი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო გროსმაისტერი

მე უკვე არაერთხელ ვყოფილვარ მშეფილი თბილისში, რომელთანაც ხანიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. ასეთ ქალაქში მხოლოდ კარგად შეიძლება თამაში.

ჩემოვედი თუ არა, უპირველეს ყოვლისა, მივფულიცე ქართველ ქალიშვილს **ნანა ალექსანდრიას** დიდებული წარმატება.

ფინალის შემადგენლობა იმდენად ძლიერია, რომ სჭობს თავი შევიკავო ყოველგვარი პროგნოზისაგან. მარცხისაგან არავინ არ არის დაზღვეული. ერთი რამ ცხადია — საზონთაშორისო ტურნირში ყველაზე უფრო ღირსეულები მოხვდებიან.

ანატოლი ლეინი.

საერთაშორისო ოსტატი

საკავშირო ჩემპიონატის ფინალში არაერთგზის მომხდარა მონაწილეობის მიღება, მაგრამ ესოდენ ძლიერ ტურნირში არასოდეს მოთამაშია, რა ვუყოთ, რომ არ იქნებიან **პეტროსიანი, სპასკი, ტალი, ბოტვინიკი** და **პერესი.** მათ ხომ მეტად ღირსეული გროსმაისტერები ცვლიან.

დიდი მნიშვნელობა ექნება სტარტს. თანდათან შევიტყობთ ვინ როგორ მდგომარეობაა. ტურნირში, სადაც არ არიან სუსტი მონაწილენი, მეტად მძაფრ ბრძოლას უნდა მოველოდეთ.

დანარჩენზე ვერაფერს მოგახსენებთ, პროგნოზები ხომ მეტად იშვიათად მართლდება.

ბუხუტი გურგენიძე.

ოსტატი

საჭადრაკო განცდებს როდი ვიყავი მოკლებული კიევში. მოგეხსენებათ მწვარნილი მოჭადრაკეზე ნაკლებად არ ღელავს, მაგრამ საწადელს თუ მიაღწიე, ეს ყველაზე დიდი ჯილდოა. **ნანას** წარმატებამ სიმხნევე და ენერგია შემმატა.

ჩემპიონატის ფინალში ჩემი დაშვების ნაკითხი ახლახან გადაწყდა. ალბათ იფიქრებენ — ვარ თუ არა ეხოდენ პასუხისგები ასპარეზობისათვის მზად? მთელი თვის მანძილზე ნანას პარტიების გარჩევა, ყოველი ტურისათვის მზადება ეს ხომ მუშაობისაც წვრთნა იყო.

პირველად როდი გამოვდივარ ფინალში. თბილისის ასპარეზობაში მონაწილეთა მნიშვნელოვან ნაწილს კარგად ვიცნობ. ტურნირი უთუოდ საინტერესო იქნება.

ჩემს პროგრამა-მინიმუმზე ვერაფერს ვეტყვით. ვეცდები ვიბრძოლო მთელი ძალებით, პასუხისმგებლობით.

ნაკერი ნერვზე

სიახლე მედიცინაში

ადამიანს დაუზიანდა ან გაუწყდა ნერვი. რით შეუძლია ქირურგს დაეხმაროს მას?

ახალი ამბების საადგილო ცნობით, ამას წინათ ლენინგრადში გაიმართა სიმპოზიუმი, რომელმაც განიხილა გაწყვეტილი ნერვების შეერთების პრობლემა. სიმპოზიუმზე ნეიროქირურგებისათვის მიიღეს ასეთი ავადმყოფების მკურნალობის ერთიანი ტაქტიკა.

აი რა განაცხადა კორესპონდენტთან საუბარში რსფს რესპუბლიკის მთავარმა ნეიროქირურგმა პროფესორმა ბენიამინ უგრიუმოვმა:

— წინათ ადამიანი, რომელსაც ხელის ან ფეხის ნერვი დაუზიანდებოდა, ფაქტიურად ხვიბრად რჩებოდა მთელ სიცოცხლეში. თანამედროვე მეთოდები კი საშუალებას გვაძლევს ავადმყოფთა დიდ უმრავლესობას აღვუდგინოთ ნერვის გამტარუნარიანობა. ასეთი ოპერაციის ტექნიკა ახლა დეტალურად არის შემუშავებული. ნეიროქირურგი ზუსტად ერთმანეთს აკერებს ნერვის გარსის ბოლოებს უწვრილესი აბრეშუმის ძაფით ან ლავსანით. ნერვის აგებულება რამდენადმე მოგვაგონებს ოზოლაციაში გახვეულ ელექტროსადენს: გარედან მას აკრავს ეპინერვული გარსი, შიგ კი მოთავსებულია აკსონების მორჩები, „სადენის" ძარღვები.

თუმცა ასეთი მიკერება არა ჰგავს გამტარების უბრალო შეერთებას: ნერვის იმ ნაწილში, რომელიც კავშირს კარგავს ზურგის ტვინთან, რჩება მხოლოდ გარსი—იზოლატორი, ხოლო აკსონები იღუპებიან. ნეიროქირურგის ამოცანასაც სწორედ ამ ორი გარსის ზუსტად შეერთება წარმოადგენს. მაშინ ნერვის იმ ნაწილიდან, რომელიც ზურგის ტვინთან არის შეერთებული, აკსონები გადაზრდას დაიწყებენ დაღუპულთა ადგილზე.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ტრავმა მეტად სერიოზულია და ნერვების მიკერება შეუძლებელი ხდება? სამწუხაროდ, ადამიანისათვის ნერვული ქსოვილის გადაწერგვის ცდებს დადებითი შედეგი არ მოყოლია, თუმცა ზოგჯერ შესაძლებელი ხდება გამოვიყენოთ თვითონ ავადმყოფის დაუზიანებელი ნერვული ბოჭკოები. ადამიანისათვის, სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მამოძრავებელ და მგრძნობიერ ნერვებს. ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებულია ხელის მტევნის მამოძრავებელი საშუალო ნერვი, აბრი აქვს გავწეროთ ნაკლებმნიშვნელოვანი კანის მგრძნობელობითი ბოჭკოები და გადავნერგოთ ისინი საშუალო ნერვის მოწყვეტილი ნაწილის ადგილზე. ასეთი ოპერაციის შედეგად მალე აღდგება ხოლმე მტევნის მუშაობა, ხოლო ორი-სამი წლის შემდეგ — კანის მგრძნობელობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მოიპარეს პრიზი

ბონი, 27 დეკემბერი. (საკადისი). საშობაო დღესასწაულის წინადღე პროფესიონალთა საერთაშორისო ველერბრლის მრავალგზის გამარჯვებულის რუდი ალტიგისა და მძლეოსნების — ევროპის ჩემპიონატის პრიზიორების კარონ ფრიშისა და ჰელგა ჰოფმანისათვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტულმა მიმომხილველებმა და ჟურნალისტებმა ისინი წელს დასავლეთ გერმანიის საუკეთესო სპორტსმენებად გამოაცხადეს. კარონ ფრიშსა და ჰელგა ჰოფმანს მიენიჭათ „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის სპორტიანი ბეჭედი".

პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონია ბადენ-ბადენში დიდი ამბით მოეწყო: უკრავდა ორკესტრი, განუწყვეტლივ ინთებოდა ფოტოაპარატების ბლიცები, მაგრამ როგორც მეორე დღეს გამოირკვა, ეს სასიხარულო მოვლენა მოულოდნელმა პასუხამ ჩაშალა. „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის სპორტიანი ბეჭედი", რომელიც კარონ ფრიშისათვის უნდა გადაეცათ, საზეიმო ცერემონიის დროს მოიპარეს, იუწყება გაზეთი „გენერალ-ანეიგერი".

რომელიღაც თაღლითმა ისარგებლა საზეიმო ვითარებით, მოიპარა ძვირფასი ბეჭედი და გაქრა.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

გუშინ საქართველოში წვიმდა, მთიან რაიონებში კი თოვდა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო ქობულეთში — 12, გაგრაში, სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში — 10, თბილისში, — 9, ბორჯომში — 3 გრადუსი ნულის ზემოთ, ბაკურიანში — 2 გრადუსი ყინვა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უმეტესად უნალექო ამინდი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მცირე ნალექი, ალგეთალა ნისლი, სუსტი ქარი. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში — 8-13 გრადუსი, მთაში 0 გრადუსი-5 გრადუსი სითბო; აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 5-10 გრადუსი, მთაში—2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო. თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა 7-9 გრადუსი სითბო.

ᲮᲔᲚᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲡ!

იმ მიზნით, რომ დროულად და უდანაკარგოდ მიიღოთ თქვენ მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები და რაიმე გაუგებრობას არ ექნეს ადგილი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო თქვენს ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ერთხელ კიდევ შეამოწმოთ ხელმოწერის ქვითრის სისწორე — ჟურნალის ან გაზეთის დასახელება, გამოწერის ხანგრძლივობა, მისამართი, თქვენი გვარი და ინიციალები.

იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერის ქვითრის შევსებისას დაშვებულია რაიმე ხასიათის შეცდომა, სასწრაფოდ მიმართეთ ხელმოწერის გამფორმებელს და წარუდგინეთ აღნიშნული ქვითარი.

გახსოვდეთ!

სწორად გაფორმებული ხელმოწერის ქვითარი უზრუნველყოფს თქვენს მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების დროულად და უდანაკარგოდ მიღებას.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო „სოიუზპეჩატი".

ᲘᲤᲧᲔᲑᲐ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

გავიდა მოსწავლეთა შრომის — დაძაბული სწავლის ოთხი თვე. 30 დეკემბრიდან დაიწყება მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები. (მეცადინეობა შეწყდება 1966 წლის 29 დეკემბერს გაკვეთილების შემდეგ). ბავშვთა ყრილობისა სკოლების დერეფნებიდან ბუნებაში გადაინაცვლებს. რამდენი სიხარული ელის ამ დღეებში ჩვენს გოგონებსა და ბიჭუნებს.

ბევრი მოსწავლე ფიქრობს ესტუმროს ბაკურიანს, მადალმთიან, თვალწარმტაც კურორტს, მოაწყოს შეჯიბრება, ისეთნაირ თხილამურებით, კოხტაგორიდან გადმოხედოს მთელ ბორჯომის ხეობას. სწორედ ამ კურორტზე, სათხილამურო და ტურისტულ ბაზებში მოეწყობა ზამთრის გამჯანსაღებელი ბანაკები უფროსკლასელებისათვის. ასეთივე გამჯანსაღებელი ბანაკები მოეწყობა ჯავასა და წყნეთში ორ-ორი, გორის ბამბეულის კომბინატთან, ფასანაურში, კოჯორში. ამ ბანაკებში ათასზე მეტი ბავშვი დაისვენებს.

გარდა ამისა, აჭარის ასსრ პროფსაბჭო ზამთრის გამჯანსაღებელ ბანაკებს მოაწყობს 300 მოსწავლისათვის, ხოლო აფხაზეთის ასსრ პროფსაბჭო — 400-სათვის.

დიდი სიხარული ელით ქალაქში დარჩენილ ბავშვებსაც. სპორტის სასახლეში მოეწყობა საქალაქო ნაძვისხე საჩუქრებით, რომელიც 150.000 მოსწავლეს გაუმასპინძლდება. ასეთივე საქალაქო ნაძვისხეები ეწყობა ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. საახალწლო ზეიმი გაიმართება აგრეთვე ყველა პროფკავშირულ კლუბში.

არდადეგების პერიოდში სპორტული ორგანიზაციები მოაწყობენ შეჯიბრებებსა და ამხანაგურ შეხვედრებს სპორტის სხვადასხვა სახეში. მოსწავლეები შეხვდებიან კომუნისტური შრომის მოწინავეებს, სამამულო ომის ვეტერანებს. მოაწყობენ კოლექტიურ სვლას მუზეუმებში, კინოთეატრებში და სხვ.

სწავლა განახლდება 1967 წლის 11 იანვარს.

ბედნიერ ახალ წელს და დასვენებას გისურვებთ, ჩვენო ნორჩო მეგობრებო!

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

29 დეკემბერი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — ჩეხოსლოვაკური მხატვრული ფილმი „მოხუცება სვეის კრეფაზე" (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა ოქტომბ